

ტაჯიკეთში იარაღის იმპორტი შეწყდა
შაბათი, 05 ოქტომბერი 2013 19:32

ცენტრალური აზიის ქვეყანამ ტაჯიკეთმა იარაღის იმპორტი დროებით შეაჩერა.
ქვეყნის პრეზიდენტმა იმამელი რეჰმანმა ქვეყანაში იარაღის და მისი გამოყენების ორგანიზებასთან დაკავშირებით განკარგულებას მოაწერა ხელი. აღინიშნება, რომ ეს განკარგულება საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის და დანაშაულების აღმოფხვრის მიზნით გაფორმდა. ახალი განკარგულების თანახმად, წლის ბოლომდე მოქალაქეების გამოყენებული იარაღის იმპორტი დროებით შეჩერდება. აგრეთვე აიკრძალა იარაღის ტარება, გამოყენება, ვაჭრობა და სხვისთვის გადაცემა.

1 / 1